აუდიტორული კომპანიისათვის/მისი წარმომადგენლისათვის პროექტის განხორციელების პერიოდში და მისი დასრულებიდან შვიდი წლის განმავლობაში;

4.2. გრანტის მიმღებს უფლება აქვს:

1) დონორთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, შეცვალოს ბიუჯეტის თითოეული ხაზის თანხა თუ, (ა) ცვლილება არ აღემატება ბიუჯეტის შესაბამისი ხაზის 10%-ს; (ბ) ცვლილება შეესაბამება საპროექტო წინადადებას და მოსალოდნელ შედეგებს; (გ) ცვლილება არ ზრდის პროექტის მთლიან ბიუჯეტს;
2) მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1.6 მუხლში განსაზღვრული თანხის უკან დაბრუნება შემდეგი ფაზისათვის საჭირო თანხის მოთხოვნასთან ერთად ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების მოთხოვნის პროცედურის დაცვით;
3) დონორისგან მიიღოს კონსულტაციები პროექტის განხორციელების პერიოდში.

4.3. დონორი ვალდებულია:

1) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრული თანხა დროულად გადარიცხოს გრანტის მიმღების მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშ(ებ)ზე;
2) თანხის გადარიცხვის თაობაზე აცნობოს გრანტის მიმღებს წერილობითი ფორმით.

4.4. დონორს უფლება აქვს:

1) გრანტის მიმღებისგან მოითხოვოს კონკრეტული გადარიცხვის განხორციელებიდან 3 თვის განმავლობაში აუთვისებელი თანხის უკან დაბრუნება;
2) წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მისი ამოწურვიდან 7 წლის განმავლობაში განახორციელოს სხვადასხვა სახის მონიტორინგის ღონისძიებები და აუდიტორული შემოწმებები.

5. ხელშეკრულების განახლება, შეცვლა და მოშლა

5.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ გააგრძელონ მისი მოქმედების ვადა ხელშეკრულების დანართზე ხელმოწერის შედეგად.

5.2. ხელშეკრულებასა და მის დანართებში (გარდა 4.2.1. მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა) ცვლილებების შეტანა შეიძლება მოხდეს დონორის ან გრანტის მიმღების პროგრამული მიმართულებების, პრიორიტეტების და დაფინანსების წყაროს ცვლილების შემთხვევაში. ცვლილება უნდა მოხდეს მხოლოდ მხარეთა ერთობლივი შეთანხმებით და წინამდებარე ხელშეკრულების დანართზე ხელმოწერით. ასეთი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ორივე მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების დაუყოვნებლივი შეწყვეტა.

5.3. დონორს უფლება აქვს მოითხოვოს გრანტის ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, თუ გრანტის მიმღები:

1) არამიზნობრივად იყენებს თანხებს;